სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

20/03/2026

MES 4 26 0000339169

ბრძანება

თბილისი

"2026 წლის საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ,, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 10 მარტის N289896 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N325332, 18/03/2026წ.) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება "2026 წლის საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 10 მარტის N289896 ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართის:
ა) მე-2 მუხლში მე-7 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:
,,8. ძირითადი სამუშაო ენა არის ქართული";
ბ) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,4. ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება და დამხმარე პერსონალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შრომის ანაზღაურება ერთობლივად არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 30%-ს";
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება ფონდის ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი

ზუსტი ასლია
ორიგინალისა